



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030130781655418

№ 01-101/თ

31 / აგვისტო / 2018 წ.

„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს N01-73/ თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ა:

1. „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს N01-73/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4¹. ამ ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარგებლეებისათვის (საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი) გათვალისწინებული მედიკამენტების თანაგადახდის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის შესაბამისად.“.

2. ბრძანებას დაემატოს დანართი N1 თანდართული რედაქციით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგუდასმულია
ელექტრონულად



დავით სერგეენკო

N	მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტური დასახელება	სავაჭრო დასახელება	ქვეყანა	მწარმოებელი	პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარგებლეებისთვის გათვალისწინებული თანაგადახდის ოდენობა/გასხვების ფასი (ერთეულის ღირებულება)
1	ენალაპრილი 10მგ	ენალაპრილი 10მგ	საქართველო	ჯი ემ პი	0,05
	ენალაპრილი 20მგ	ენაპი 20მგ	სლოვენია	კრკა	0,06
2	ლოსარტანი 100მგ	ლოზაპი 100მგ	სლოვაკეთი	სანეკა ფარმაციუტიკალსი	0,1
		ლორისტა 100მგ	სლოვენია	კრკა	0,1
3	მეტოპროლოლი 100მგ	ეგილოკი 100მგ	უნგრეთი	ეგისი	0,04
4	ამიოდარონი 200მგ	კორდარონი 200მგ	უნგრეთი	სანოფი ავენტისი	0,10
5	ვარფარინი 2.5მგ	ვარფარინ-ნიკომედი 2.5მგ	პოლონეთი	ტაკედა ფარმა	0,04
6	დიგოქსინი 0.25მგ	დიგოქსინი-გრინდექსი 0.25მგ	ლატვია	გრინდექსი	0,02
7	სპირონოლაქტონი 25მგ	ვეროშპირონი 25მგ	უნგრეთი	გედეონ რიხტერი	0,11
8	ატორვასტატინი 20მგ	ატორისი 20მგ	სლოვენია	კრკა	0,09
9	კლოპიდოგრელი 75მგ	ზილტი 75მგ	სლოვენია	კრკა	0,21
10	იზოსორბიდის მონონიტრატი 40მგ	მონოსანი 40მგ	ჩეხეთი	პრომედ .ცს პრაჰა ა.ს	0,15
11	ფუროსემიდი 40მგ	ფუროსემიდი 40მგ	ბულგარეთი	სოფარმა	0,06
12	ამლოდიპინი 5მგ	ამლოდიპინი 5მგ	გერმანია	დექსელ ფარმა	0,04
13	მეტფორმინი 1000მგ	სიოფორი 1000მგ	გერმანია	ბერლინ ხემი	0,04
14	გლიმეპირიდი 2მგ	ამარილი 2მგ	იტალია	სანოფი ავენტისი	0,04

15	გლიკლაზიდი 60მგ	დიაბეტონი MR 60მგ	საფრანგეთი	ლეს ლაბორატორიეს სერვიერ ინდუსტრიე	0,14
16	თიამაზოლი 5მგ	თიროზოლი 5მგ	გერმანია	მერკ კ.გ.ა.ა	0,12
17	ლევოთიროქსინი 50მკგ	L – თიროქსინი 50მკგ	გერმანია	ბერლინ ხემი	0,04
18	ალბუტეროლი 2.5მგ/0.5მლ 0.5მლ	ალბუტეროლის სულფატი 0.5% 2.5მგ/0.5მლ	აშშ	ნეფრონ ფარმაციუტიკალსი	1,44
19	სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი 50მკგ/250მკგ საინჰალაციო ფხვნილი	სერეტიდი დისკუსი 50/250მკგ ინჰ 60 დოზა	საფრანგეთი	გლასოველკომპროდუქტონ	10,70
20	სალბუტამოლი 100მკგ დოზა საინჰალაციო აეროზოლი	სალბუტამოლი ინტელი აეროზ. 200 დოზა	ესპანეთი	ლაბ ალდო უნიონ	3,99
		სალბუტამოლი. 200 დოზა	საფრანგეთი	გლასოველკომპროდუქტონ	3,92
21	მეთილპრედნიზოლონი 16მგ	მედროლი 16მგ	იტალია	ფაიზერი	0,25
22	ბუდესონიდი 0.5მგ/2მლ	პულმიკორტი 2მლ	შვედეთი	ასტრა ზენეკა	2,42
23	აკლიდინიუმის ბრომიდი საინჰალაციო ფხვნილი (კაფსულა) ინჰალატორთან ერთად/322მკგ/დოზა	ბრეტარისი ჯენუერი 322მკგ 60 დოზა	ესპანეთი	ინდასტრიას ფარმაც.ალმირალ ს.ა	51,44